

შეთანხმება

ქ. თბილისი

8 აგვისტო, 2017 წელი

ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „Construction Service“ (შემდგომში_მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გაბუნიას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „Construction Service“ - ს შორის, 2017 წლის 2 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02.01/10/417 ხელშეკრულების (ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანში, ჰიპერმარკეტ „თბილისი მოლი“-ს მიმდებარედ ქვეითთა მიწისზედა რკინის კონსტრუქციის საფეხმავლო გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები) მე-13 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი - ვთანხმდებით:

1.1 შეტანილ იქნას ცვლილება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.5 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას) ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 60%-ის ოდენობით. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვებთან დაკავშირებულ ვალდებულებების შესასრულებლად.“

1.2 ხელშეკრულების მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 7.6 და 7.7 პუნქტები:

„7.6 წინასწარი გადახდის თანხების (ავანსი) დაკავება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 4 სექტემბრის №508 ბრძანების შესაბამისად - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებიდან ფაქტობრივი ხარჯების გაწევამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ გადახდილი სახსრების დამოწმების შესახებ“;

7.7 უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.“

საფუძველი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 7 აგვისტოს N14-01172192806 წერილი.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2017 წლის 2 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02.01/10/417 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კოდი: 204521794
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)
ლ. აბაშიძე



მიმწოდებელი:
შპს „Construction Service“
ს/კოდი: 404935647
დირექტორი

